პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ლელო

საქართველოს სსრ ფიზიკური კულტურისა და სპორტის სახელმწიფო კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО ОРГАН ГОСУДАРСТВЕННОГО КОМИТЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР ПО ФИЗИЧЕСКОЙ КУЛЬТУРЕ И СПОРТУ И РЕСПУБЛИКАНСКОГО СОВЕТА ПРОФСОЮЗОВ

6 აგვისტო, ხუთშაბათი, 1987 წ.
№ 152 (9563) ● ფასი 3 კაპ.

გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ნანა იოსელიანი პრეტენდენტია



**ტუზლაში** (იუგოსლავია) დასასრულს მიუახლოვდა მოჭადრაკე ქალთა მეორე საზონათშორისო ტურნირი, რომელსაც 12 ქულით ლიდერობს ნანა იოსელიანი. შეჯიბრების დამთავრებამდე ორი ტურით ადრე მან უკვე გაინაღდა პრეტენდენტთა მატჩების ერთ-ერთი საგზური. 11 ქულა აქვს პოლონელ აგნეშკა ბრუსტმანს, 10 ქულა და 1 გადადებული პარტია — ლიდია სემიონოვას, 10 ქულა — ქეთევან არახამიას, 9 — გულნარა სახატოვას, 8,5-8,5 — სვეტლანა მატვეევას, ნინა ჰოიბერგს (დანია) და ქუჟა ვერეცი-პეტრონიჩს (უნგრეთი).

XV ტურში იოსელიანმა დაამარცხა პეტროვიჩი, ვერეციმ — არახამია, მატვეევამ — ნიკოლინი, სახატოვამ — მაქსიმოვიჩი, ბრუსტმანმა — კანელა, ტრაბერტმა — ივანკა. დაზავდნენ ლუ შილანი-ფრომეტა და კადილკარი-ჰოიბერგი. სემიონოვა — ლებელ-არიასის პარტია გადაიდო.

გთავაზობთ XIV ტურის ზოგიერთი შეხვედრის შედეგს: ფრომეტა-ივანკა — 0:1, ტრაბერტი-პეტროვიჩი — 1:0, ნიკოლინი-კადილკარი — 0,5:0,5, ჰოიბერგი-ლუ შილანი 1:0.



## ჰურიელის შემდეგ ქასოშვილი

**ჩვენი** გაზეთის გუშინდელ ნომერში გაცნობეთ ნინო გურიელის წარმატება მოჭადრაკე ქალთა საკავშირო პირველობის 47-ე ჩემპიონატის ნახევარფინალურ ტურნირში. ასეთივე გამარჯვება იზეიმა ციალა ქასოშვილმაც, რომელმაც ხერსონში I-II ადგილები გაიყო.

## ჟურნალისტებისა და სპორტის სპეციალისტების საყურადღებოდ!

**შაბათს, 8 აგვისტოს, 15 საათზე სპორტული სკოლების მოსწავლეთა საკავშირო თამაშების მთავარ პრესცენტრში (თბილისის ვ. ი. ლენინის სახელობის „დინამოს“ სტადიონი) გაიმართება პრესკონფერენცია მოსწავლეთა საკავშირო შეჯიბრებების შემდგომი სრულყოფის საკითხებზე.** პრესკონფერენციაში მონაწილეობას მიიღებს წლევანდელი თამაშების ჩატარების ინიციატორი, საკავშირო სპორტსახკომის სპორტული რეზერვის სამმართველოს უფროსი ვლადიმერ ბაუერი.

## მიეძღვნება ოქტომბრის რევოლუციის 70-ე წლისთავს

### სპორტული სკოლების მოსწავლეთა საკავშირო თამაშები

1917 1987 ВСЕСОЮЗНЫЕ ИГРЫ УЧАЩИХСЯ СПОРТИВНЫХ ШКОЛ

„ლელოს“ კორესპონდენტები ავთანდილ გურასაშვილი, ალექსანდრე პაპოშვილი, თამაზ ხარაბაძე, მერაბ კალანდაძე შეჯიბრების ადგილებიდან გვატყობინებენ:

## დღე პირველი

**წყალში** მხტომელთა პაექრობა გუშინ დილით დაიწყო. ასპარეზობაში 31 გოგონა ჩაება. მოეწყო წინასწარი შეჯიბრება 3-მეტრიანი კოშკიდან ხტომაში, საბაზო პროგრამით.

დაწინაურდა სვეტლანა კონდრაშოვა—206,37, მეორე იყო ანა ობორინა (ორივე — პროფკავშირები-I) — 189,78, ხოლო თბილისელი ნანა ნებიერიძე მესამე ადგილზეა — 183,78. ისინი დღეს 5 და 7,5-მეტრიანი კოშკიდან ხტომაში ნებისმიერი პროგრამით იასპარეზებენ და პრიზიორთა ვინაობაც საბოლოოდ მაშინ გაირკვევა.

გუშინ სალამოს შეჯიბრებების საზეიმო გახსნის შემდეგ ბიჭებმა 1-მეტრიანი ტრამპლინიდან წინასწარ შეჯიბრებაში სცადეს ძალა. დღეს კი ისინი ფინალში 3-მეტრიან ტრამპლინზე იასპარეზებენ.

გამოცხადებული იყო, რომ საერთო ფიზიკურ მომზადებაში საქართველოს წარმომადგენელმა ოლეგ ვასილჩენკომ IV ადგილი დაიკავა. გუშინ მსაჯთა კოლეგიამ შედეგებში შესწორება შეიტანა — ვასილჩენკო III საპრიზო ადგილზეა.



## ერთი ეტაპი განვლილია

**ჩოგბურთელთა** ტურნირის მეორე ტურით დამთავრდა შეჯიბრების წინასწარი ეტაპი ერთეულთა თანრიგში. მერვედფინალში მოხვედრისათვის დაძაბული ბრძოლები გაიმართა.

კომენტარი ვთხოვეთ საპატიო მსაჯს **ოლეგ კორნბლიტს**:



— თბილისელი ანა გასპარიანი, რომელიც საკავშირო კლასიფიკაციაში არც კი შედის, არ შეუშინდა მეტოქის ელენა ბუზმაკოვას (უკრაინა, განათლების სამინისტრო) ავტორიტეტს (იგი კლასიფიკაციაში მეხუთე ადგილზეა), შესაშური ბრძოლის უნარი გამოიჩინა და გაი[illegible] — 6:3, 4:6, 6:1. [illegible] ნაგუნდელმა თამარ ბერიძემ დამაჯერებელი ანგარიშით სძლია უკრაინელ თამარ კურბაჩოვას — 6:3, 6:1. წააგეს მაია აბაშიძემ და თამარ დვალიშვილმა: პირველმა თანაბარ ბრძოლაში დათმო მატჩი ტალინელ კრისტინა პილდნესთან (დასავლეთი ზონა) — 7:5, 2:6, 4:6, მეორემ კი წინააღმდეგობის გარეშე — ლიეპაიელ ელენა იაკოვლევასთან (დასავლეთი ზონა, — 1:6, 2:6). ფიზიკურად ძლიერმა სერგეი ბარანოვმა (უკრაინა) დაჯაბნა თბილისელი გიორგი ტყემალაძე — 6:4, 6:2. წარმატებით ჩაატარეს შეხვედრები საქართველოს გუნდის წევრებმა ბაქარ ძაგანიამ მიხაილ შატსინთან (დასავლეთი ზონა — 6:3, 6:4) და მიხეილ მღებროვმა (მინსკელ კონსტანტინ ვასილევსკისთან — 6:2, 6:2). თექვსმეტი უძლიერესის ასპარეზობაში ყველაზე მეტი წარმომადგენლები ჰყავთ: ჭაბუკებში — პროფკავშირების პირველ გუნდსა და „დინამოს“ (ოთხ-ოთხი მონაწილე), საქართველოს და რსფსრ-ის განათლების სამინისტროს (სამ-სამი); გოგონებში — პროფკავშირები-I (4), პროფკავშირები-II (3), საქართველო, „დინამო“ და საბჭოთა არმია (ორ-ორი).

ИЗВЕСТИЯ
СОВЕТОВ НАРОДНЫХ ДЕПУТАТОВ СССР
Газета выходит с марта 1917 года
№ 216 (22023) Вторник, 4 августа 1987 года Цена 4 коп.

## დაბრკოლებები ტურისტულ ბილიკებზე

**საქართველო** ჩვენი ქვეყნის ერთ-ერთი საუკეთესო მხარეა ტურიზმისათვის. 5-მილიონიანი რესპუბლიკა წელიწადში მილიონნახევრამდე სტუმარს მასპინძლობს. წლევანდელმა ზამთარმა და გაზაფხულმა თან ზვავები და წყალდიდობები მოიტანა, მაგრამ მიუხედავად ამისა, საქართველოში ჩამოდიან და კვლავ ჩამოვლენ — ასეთია ეს ქვეყანა.

სამწუხაროდ, ჩვენი მატერიალური ბაზა ვერ აკმაყოფილებს ტურისტთა დიდ ნაკადს, — გვითხრა ტურიზმისა და ექსკურსიების საქართველოს რესპუბლიკური საბჭოს თავმჯდომარემ — ა. ბურჯანაძემ. — რესპუბლიკაში მხოლოდ 40 ათასი ადგილია, აქედან 20 ათასია „საკუთარი“, დანარჩენი იჯარითაა აღებული. გარდა ამისა, ბევრი ტურბაზა, კემპინგი და თავშესაფარი ჯერ კიდევ ვერ პასუხობს თანამედროვე მოთხოვნებს. გამოსავალი ერთია — სასწრაფოდ გაფართოვდეს ბაზები, შეკეთდეს ძველი და რაც შეიძლება მალე აშენდეს ახალი ობიექტები. ამასთან დაკავშირებით ჩვენთვის გაუგებარია რესპუბლიკის სამშენებლო სამინისტროს პოზიცია.

უკვე თერთმეტი წელია, რაც ოჩამჩირეში და გუდაუთაში მაღლივ სასტუმროებს აშენებენ. სპეციალისტების ვარაუდით, მშენებლობა 2-3 წელიწადში დამთავრდება. თუ არქიტექტორების პროექტზე დახარჯულ დროს ამ წლებს მივუმატებთ, გამოვა, რომ 90-იან წლებში ჩვენ გვექნება სასტუმროები, რომლებიც 70-იანი წლების მოთხოვნებს დააკმაყოფილებს.

● **ბატონო ანზორ, მომგებიან საქმედ მიგაჩნიათ ტურიზმი?**

— რა თქმა უნდა, მაგრამ დღესდღეობით საქართველოს ტურიზმზე ამის თქმა გაგვიჭირდება, რადგან ამ სფეროში თითოეულ დაბანდებულ მანეთზე მხოლოდ 11 კაპიკი მოგება მოდის.

— **რაშია საქმე, იქნებ დაწვრილებით აგვიხსნათ?**

—მატერიალური ბაზების პრობლემა ერთადერთი არ არის ამ სფეროში. ელემენტალური ტურისტული აღჭურვილობის დეფიციტი ვერ მოვსპეთ. ჩამოსულთ საშუალება არა აქვთ იქირაონ საჭირო ნივთები. გარდა ამისა, მეურნეობა კადრების ნაკლებობას განიცდის. ჩვენ არ გაგვაჩნია ისეთი დაწესებულება, რომელიც კვალიფიციურ სპეციალისტებს მოგვიმზადებდა.

იზ. მე-4 გვ.

## „არც ერთი ფიზკულტურული კოლექტივი— სპორტული მოედნის გარეშე!“

**ამ დევიზით მიმდინარეობს საკავშირო კონკურს-დათვალიერება, რომლის შესახებ ვრცლად „ლელო“ ადრე უკვე იუწყებოდა. ჩვენს რესპუბლიკაში ამ ღონისძიებას ერთობლივად ატარებენ პროფკავშირების ნებაყოფლობითი ფიზკულტურულ-სპორტული საზოგადოების რესპუბლიკური საბჭო და გაზეთ „ლელოს“ რედაქცია. გუშინ მივიღეთ ინფორმაცია ქუთაისიდან. პროფკავშირების ნებაყოფლობითი ფიზკულტურულ-სპორტული საზოგადოების ქუთაისის საქალაქო საბჭოს თავმჯდომარემ თ. ერემეიშვილმა გვაცნობა, რომ შემოწმებულია ყველა ფიზკულტურული კოლექტივი. ქალაქში აღმოჩნდა 19 ორგანიზაცია, რომელსაც არ გააჩნია მარტივი ტიპის მოედანიც კი. მოედნების მოწყობაზე პირადი პასუხისმგებლობა იკისრეს შრომითი კოლექტივების ხელმძღვანელებმა. შეგახსენებთ, კონკურს-დათვალიერება 1 ნოემბრამდე გრძელდება.**

შაბათი 8 აგვისტო

8 აგვისტო ფიზკულტურელის დღეა! მთელი ჩვენი რესპუბლიკა ემზადება ამ ღონისძიების მაღალ დონეზე ჩასატარებლად. რედაქციაში მივიღეთ ცნობები იმის შესახებ, რომ ამ დღეს კასპში, თიანეთში, რუსთავში მცხეთაში ჩადგება ახალი სპორტული ობიექტები. გაიმართება მასობრივ-გამაჯანსაღებელი და სპორტული ღონისძიებები.
ველით ახალ ცნობებს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# სპორტული სკოლების მოსწავლეთა საკავშირო თამაშები

## ნახევარფინალისკენ მიიწევენ

**ჭაბუკ** კალათბურთელთა ტურნირის მესამე დღეს ყურადღების ცენტრში იყო რუსეთის ფედერაციის გუნდისა და „დინამოს" შეხვედრა. თავიდანვე გამოიკვეთა რსფსრ-ის სპორტსმენთა უპირატესობა და მატჩი მათი დამაჯერებელი გამარჯვებით დამთავრდა — 103:78.

საქართველოს ნაკრები ამ დღეს შეხვდა სამხრეთის ზონის ნაკრებს. მასპინძელთა უპირატესობა, ვფიქრობთ, კომენტარს არ საჭიროებს. ისინი თამაშის კლასით აშკარად მაღლა იდგნენ მოწინააღმდეგეზე და მათი გამარჯვება უკვე პირველი ტაიმის შემდეგ ეჭვს არ იწვევდა (52:27). მაყურებლის სიმპათიები დაიმსახურა ტანმორჩილი ბათუმელი კალათბურთელის ალხაზარ ბალათურიას თამაშმა, ზუსტმა სამქულიანმა სროლებმა. მეორე ტაიმში მასპინძლებმა ძირითადად მეორე შემადგენლობა გამოიყვანეს და იოლ გამარჯვებას მიაღწიეს — 95:46. საგულისხმოა, რომ მასპინძლებს პირველ სამ მატჩში 50 ქულაზე მეტი არ მიუღიათ საკუთარ კალათში.

მატჩის შემდეგ აზრის გამოთქმა ვთხოვეთ საქართველოს ნაკრების უფროს მწვრთნელს ვაჟა ჭკუასელს: „ჩვენი გუნდის სტარტით კმაყოფილი ვარ. მოპოვებულმა გამარჯვებებმა კარგი ფსიქოლოგიური განწყობილება შექმნა გუნდში. თუმცა, ვფიქრობთ, უფრო უკეთესადაც შეგვიძლია თამაში და ვიმედოვნებ, რომ გადამწყვეტ მატჩებში ტემპს მოვუმატებთ.

საქართველოს ნაკრებმა სამი გამარჯვება მოიპოვა და ფაქტიურად გაინაღდა ნახევარფინალის საგზური.



საქართველოსა და სამხრეთი ზონის ჭაბუკთა შეხვედრა.

## ელვა-ინფორმაცია

სოხუმში დაიწყო ასპარეზობა ტყვიის სროლაში. პირველ დღეს კარგად გამოვიდა საქართველოს ნაკრები გუნდის წევრი კოტე შავიძე, რომელსაც მესამე შედეგი ჰქონდა. კვირიკაშვილი და გევორქოვი ჭერჭერობით შესაბამისად X და XI ადგილზე არიან.

## თამაშების პროგრამა

### დღეს და ხვალ

● **თბილისი** — კალათბურთი (ჭაბუკები და გოგონები), ჩოგბურთი (ჭაბუკები და გოგონები), წყალში ხტომა, თავისუფალი ჭიდაობა;

● **სოხუმი** — ტყვიის სროლა;

● **ქუთაისი** — ფარიკაობა;

● **ფოთი** — აკადემიური ნიჩბოსნობა;

● **გორი** — ძიუდო;

● **თელავი** — ბადმინტონი.

თამაშები კვირას, 9 აგვისტოს დამთავრდება.

# თანადგომა

**უკრაინელ რიბალკოების ოჯახის მადლობა ქართველ ექიმებს და თამაშების მასპინძლებს**

**როცა** თბილისის მერვე კლინიკური საავადმყოფოს პირველი ქირურგიული განყოფილების გამგეს რემა ღვამიჩავას ვიზიტის მიზეზი გავაცანით, მის სახეზე გაოცება ამოვიკითხეთ: კი მაგრამ, ეს ხომ სამკურნალო დაწესებულებისთვის ჩვეულებრივი ამბავია — მითხრა ექიმმა. პასუხი მოულოდნელი არ ყოფილა, მაგრამ აბა, ლილია რიბალკოსა და მის მშობლებს ჰკითხეთ, მათთვისაც „ჩვეულებრივი" იყო ეს შემთხვევა?

...უკრაინის ხელბურთელ გოგონათა ნაკრების ერთ-ერთი წამყვანი მოთამაშე, სპორტის ოსტატობის კანდიდატი ლილია რიბალკო საავადმყოფოში სასწრაფო დახმარების მანქანით მიიყვანეს. დიაგნოზი: დესტრუქციულ პერფორაციული აპენდიციტი პერიტონიტით. აუცილებელი იყო სასწრაფო ოპერაცია. ოპერატორმა ელგუჯა ისაკაძემ თემურ კობახიძისა და ლევან შიმშილაშვილის დახმარებით მაღალკვალიფიციურად ჩაატარა საკმაოდ რთული ოპერაცია. ავადმყოფს რეანიმაციის განყოფილებაში (განყოფილების გამგე გივი ხორბალაძე) იდეალური პირობები შეუქმნეს, გოგონას მდგომარეობას თვალყურს ადევნებდა პროფესორი გურამ ტატიშვილი.

ახლა ლილია რიბალკო თავს კარგად გრძნობს, მალე საავადმყოფოდან გამოეწერება და შინ დაბრუნდება. მოვინახულეთ და, რა თქმა უნდა, მივულოცეთ მისი თანაგუნდელების გამარჯვება, თან ვანუგეშეთ: ნუ იდარდებ, წინ კიდევ ბევრი შეჯიბრებაა. სახე გაუბრწყინდა: მე ვამაყობ ჩვენი გოგონებით, — გული კი მწყდება, ძალიან მინდოდა მოედანზე გამოვსულიყავი და ჩემი წვლილიც შემეტანა გუნდის გამარჯვებაში, მაგრამ... სატყვა დედამ ჩამოართვა: ჩვენი გუნდის ყველა შეხვედრას ვესწრებოდი და ლილიას დაწვრილებით ვუამბობდი ყველაფერს. მე და ჩემი მეუღლე, როგორც კი შეგვატყობინეს ჩვენი ქალიშვილის ამბავი, თბილისში ჩამოვფრინდით და აგერ უკვე ერთი კვირაა აქა ვართ. მასპინძელთა უაღრესად დიდმა გულისხმიერებამ და კეთილგანწყობილებამ გაგვაოცა. მე მინდა მთელი ჩვენი ოჯახის სახელით დიდი მადლობა გადავუხადო ყველას, ვინც მხარში გვედგა. მე ვიცი, რომ ოპერაცია საკმაოდ რთული იყო, — ახლა კი მჯერა, რომ ქართველ ექიმებს სასწაულების მოხდენა შეუძლიათ.

გამომშვიდობებისას დედა-შვილმა მთხოვა, თუ შეიძლება თქვენი გაზეთის ის ნომერი მოგვიტანეთ, სადაც ჩვენი მადლობა დაიბეჭდება. „გაზეთი ყოველთვის გაგვახსენებს სითბოს, რომელიც თბილისიდან გაგვყვება!"

**ზურაბ ინასარიძე.**



მკურნალი და პაციენტი — ლევან შიმშილაშვილი და ლილია რიბალკო.

## შედეგები

### მძლეოსნობა

**ჭაბუკები. მრავალჭიდი № 1 (60 მ. +100 მ +200 მ.).** 1. გ. დოლგიხი (პროფკავშირები-I, 6,9+11,1+23,1) — 1775 ქულა; 2. დ. პისარენკო (განათლების სამინისტრო, უკრაინა) — 1738; 3. პ. იაგოლნიკი („უროჟაი") — 1720,... 7. კ. თურმანიძე (ქარელი) — 1528; 8. ა. პავლენკო (თბილისი) — 1523;.... 10. ი. ოვანესიანი (ბათუმი) — 1487.

**მრავალჭიდი № 9 (60 მ+სიმაღლე+სიგრძე).** 1. ტ. კოსენკო (განათლების სამინისტრო, უკრაინა, 7,2+1,95+6,47) — 2302; 2. ა. ნიკიფოროვი („დინამო") — 1974, 3. ს. სოლოვიოვი (განათლების სამინისტრო, რსფსრ) — 1935. 4. ო. ზაპოროჟეცი (თბილისი) — 1775,... 7. ს. კლიუსოვი (ბათუმი) — 1666.

**მრავალჭიდი № 4 (800 მ+1500 მ).** 1. მ. პეტროვი (1.56,4+4.05,3) — 1263 ქულა; 2. ა. გავრილოვი (ორივე — განათლების სამინისტრო, რსფსრ) — 1228; 3. ო. ივანჩენკო („დინამო") — 1198, ...11. ი. გოდერძიშვილი (თბილისი) — 806.

**მრავალჭიდი № 7 (5 და 3 კმ სპორტული სიარული).** 1. არსიენკო (განათლების სამინისტრო, უკრაინა, 22.04,4+12.45,8) — 1568 ქულა; 2. დ. ბელიაკოვი (განათლების სამინისტრო, რსფსრ) — 1540; 3. ვ. ტიტოვი (პროფკავშირები-I) — 1527,... 11. ე. ბაიაძე (თბილისი) — 1241.

**მრავალჭიდი № 12 (ათჭიდი).** 1. ვ. ვენდინი (განათლების სამინისტრო, რსფსრ) — 6057 ქულა; 2. გ. ლადინი — 5888; 3. ნ. პოტაპოვი (ორივე — „დინამო") — 5832.

**მრავალჭიდი № 3 (400 მ.+800 მ).** 1. ო. მაქსიმოვიჩი (დასავლეთი ზონა, 50,1+1.56,7) — 1314, 2. ა. კონოვალოვი (განათლების სამინისტრო, რსფსრ)—1236; 3. დ. ვოლოდინი („უროჟაი") — 1234,... 16. ა. ოვეიანი (ახალციხე) — 889.

**მრავალჭიდი № 8 (1500 მ+2000 მ. წინაღობებით).** 1. კ. კარაჩიოვი (განათლების სამინისტრო, რსფსრ, 4.11,9+6.12,8) — 1150 ქულა; 2. ა. შოსტაკი (დასავლეთი ზონა) — 1075; 3. ა. ეფიმენკო (განათლების სამინისტრო, უკრაინა) — 1059; 4. ო. ზაიკა (თბილისი) — 1037,... 9. ს. კვაჭაძე (წყალტუბო) — 861.

**მრავალჭიდი № 5 (1000 მ+3000 მ).** 1. ვ. ლიტვინოვი (განათლების სამინისტრო, რსფსრ, 2.34,0+8.57,4) — 1114 ქულა; 2. ს. ოლენიუკი (დასავლეთი ზონა) — 1103; 3. ე. ტრუნკოვი („უროჟაი") — 1094.

**გოგონები. მრავალჭიდი № 3 (400 მ+800 მ).** 1. ე. ბურდაკოვა (განათლების სამინისტრო, რსფსრ, 55,7+2.12,0) — 1571 ქულა; 2. ე. ხუსნუტდინოვა (პროფკავშირები-II) — 1418; 3. ი. კლიმენკო (საბჭოთა არმია) — 1396... 12. ტ. კარჩევაია (ფოთი) — 1263.

**მრავალჭიდი № 12 (სპ. სიარული 3 კმ).** 1. გოლუბევა (პროფკავშირები-I, 13.38,9) — 844; 2. ო. ოხლოპკოვა — 805; 3. ა. გალიულინა (ორივე — განათლების სამინისტრო, რსფსრ) — 762... 9. ნ. ქუქჩიშვილი (გარდაბანი) — 519.

**მრავალჭიდი № 4 (800 მ+1500 მ).** 1. ი. ნოვინა (2.14,1+4.37,3) — 1432 ქულა; 2. ე. მარტუშკანოვა (ორივე — განათლების სამინისტრო, რსფსრ) — 1411; 3. ე. ბიჩკოვსკაია („უროჟაი") — 1345... 22. ა. ლაცაბიძე (ახალციხე) — 1275.

**მრავალჭიდი № 2 (100 მ+300 მ+400 მ).** 1. ქ. ტარნოპოლსკაია (განათლების სამინისტრო, უკრაინა) — 2130 ქულა; 2. ო. ტერეშჩენკოვა (განათლების სამინისტრო, უკრაინა) — 2174; 3. ე. პრიხოდჩენკო (პროფკავშირები-II — 2130;... 14. ი. იზმაილოვა (თბილისი) — 1765... 19. ო. რუჟიცკაია (რუსთავი) — 1593.

**მრავალჭიდი № 11 (შვიდჭიდი).** 1. მ. მოსკვინა (განათლების სამინისტრო, უკრაინა) — 5147 ქულა; 2. ე. კუზნეცოვა (პროფკავშირები-I) — 4934; 3. ო. დანილინა (განათლების სამინისტრო, რსფსრ) — 4926... 12. ვ. ჩარაევა (ლენინგორი) — 4312;... 17. ო. ზოლოტოვა (ბათუმი) — 3449.

**მრავალჭიდი № 5 (100 მ და 300 მ თარჯრბენი +200 მ).** 1. ი. ბელოვა (განათლების სამინისტრო, რსფსრ, 13,7+42,7+25,0) — 2521 ქულა; 2. ნ. ვორონკინა (დასავლეთი ზონა) — 2456, 3. ი. სალო (განათლების სამინისტრო, უკრაინა) — 2349.... 12. ლ. მესტვირიშვილი (გარდაბანი) — 1978.

**გუნდური:**

**1. განათლების სამინისტრო, რსფსრ — 516;**
**2. პროფკავშირები-I — 397.**
**3. დასავლეთი ზონა — 327.**
**4. განათლების სამინისტრო, უკრაინა — 323.**
**5. პროფკავშირები-II — 218.**
**6. „დინამო" — 206.**
**7. „უროჟაი" — 182.**
**8. საქართველო — 159.**
**9. სამხრეთი ზონა — 96.**
**10. საბჭოთა არმია — 95.**
**11. „შრ. რეზერვები" — 56.**

### ნიჩბოსნობა (ბაიდარა, კანოე)

**22-27 ივლისი. ფოთი.**

**დღეს** ჩვენ შესაძლებლობა გვაქვს გაგაცნოთ ყველა გამარჯვებული და პრიზიორი. გთავაზობთ საქართველოს სპორტსმენების მიერ დაკავებულ ადგილებსაც (ქალაქის, რაიონის მინიშნებით).

**გოგონები. 500-მეტრიანი დისტანცია. ერთადგილიანი ბაიდარა.** 1. ნ. ლიგოსტაევა (პროფკავშირები-I); 2. ლ. ბიკალიუკი (პროფკავშირები-I), 3. ჟ. სოკოლოვა („დინამო")... 12. ნ. მუსოევა (მცხეთა), 21-22. მ. სანკო (მცხეთა). **ორადგილიანი ბაიდარა.** 1. ლ. ფრანჩუკი, ვ. ჩეჩკო (პროფკავშირები-I); 2. ა. დუჟაკოვა, ლ. ვასკო (განათლების სამინისტრო, უკრაინა); 3. ვ. ლაშკევიჩი, ლ. პოლუჩინა (დასავლეთი ზონა)... 11. ხ. ლომაძე, ნ. წურწუმია (ორივე — ფოთი). **ოთხადგილიანი ბაიდარა.** 1. პროფკავშირები-I; 2. პროფკავშირები-II; 3. „დინამო"... 6. საქართველო: ხ. ლომაძე, ნ. წურწუმია, ნ. მუსოევა, მ. ჩიტაია. **ვაჟები. 500-მეტრიანი დისტანცია. ერთადგილიანი კანოე.** 1. ვ. ზახაროვი (პროფკავშირები-I); 2. ვ. პოგორელოვი („შრ. რეზერვები"); 3. ვ. მერინოვი (პროფკავშირები-I)... 17-20. ი. ხოშტარია (სოხუმი), გ. გიგიბერია (ფოთი). **ერთადგილიანი ბაიდარა.** 1. ა. შლიახტინი (პროფკავშირები-I); 2. ო. გორობი (პროფკავშირები-I; 3. თ. კორნეევი (პროფკავშირები-II)... 17-20. პ. გუჯაბიძე (ფოთი), 21-22. კ. დუნდუა (ფოთი). **ორადგილიანი კანოე.** 1. პ. დაინიაკი, ვ. ხარჩენკო („დინამო"); 2. ა. კაბანოვი, ს. პოლიაკევიჩი (განათლების სამინისტრო, რსფსრ), 3. დ. ხმელიოვი, რ. პონომარენკო (პროფკავშირები-I)... 6. ხ. გიგიბერია, ბ. ოჩიგავა (ორივე — ფოთი). **ორადგილიანი ბაიდარა.** 1. ს. შენოვი, ა. იავორსკი (პროფკავშირები-I); 2. ა. პონომარენკო, ი. იურჩენკო (პროფკავშირები-II); 3. ე. სკუბაკოვი, ა. გურჩინსკი („დინამო")... 10. ზ. ფილია, მ. ცაავა (ფოთი). **1000-მეტრიანი დისტანცია. ერთადგილიანი ბაიდარა.** 1. ო. გორობი; 2. თ. კორნეევი, 3. ა. შლიახტინი... 17-20. მ. ფარცვანია (ფოთი), 21-22. ე. კაპუსტინი (ფოთი). **ერთადგილიანი კანოე.** 1. ვ. მერინოვი; 2. ვ. ზახაროვი, 3. მ. დეგტიაროვი (განათლების სამინისტრო, რსფსრ)... 11. ი. ხოშტარია 13-16. გ. გიგიბერია. **ორადგილიანი ბაიდარა.** 1. ს. პენოვი, ა. იავორსკი; 2. ა. შრამენკო, ი. დუბი (განათლების სამინისტრო, უკრაინა); 3. ვ. მელდერისი, ვ. ლავრიკი (დასავლეთი ზონა)... 6. ა. უსუფაშვილი (თბილისი), მ. ლომაძე (ფოთი). **ორადგილიანი კანოე.** 1. ა. სევერონი, ა. მასეიკოვი (დასავლეთი ზონა); 2. ი. არტიუხი, ი. ზელიონი (განათლების სამინისტრო, უკრაინა); 3. ა. კაბანოვი, ს. პოლიაკევიჩი... 6. ხ. გიგიბერია, ბ. ოჩიგავა. **ოთხადგილიანი ბაიდარა.** 1. პროფკავშირები-I; 2. დასავლეთი ზონა; 3. საქართველო: ა. უსუფაშვილი, მ. ლომაძე, ზ. ფილია, მ. ცაავა.

**გუნდური შედეგები:**

1. პროფკავშირები-I — 263 ქულა; 2. პროფკავშირები-II — 136; 3. დასავლეთი ზონა — 100... 9. საქართველო — 39.

**(დასასრული იქნება).**

# სოხუმელი მძლეოსნის ახალი რეკორდი

**მინსკსა** და ჩელიაბინსკში თითქმის ერთდროულად ჩატარდა სპორტსაზოგადოება „დინამოს" ცენტრალური საბჭოსა და საბჭოთა არმიის ჩემპიონატები. საქართველოს სპორტსმენებმა ორივე შეჯიბრებაში მიიღეს მონაწილეობა და მათგან რამდენიმემ წარმატებასაც მიაღწია.

ბელორუსიის დედაქალაქში დინამოელთა შეჯიბრებაზე ბირთვის კვრაში საქართველოს ახალი რეკორდი დაამყარა სოხუმელმა ტარიელ ბიწაძემ (მწვრთნელი თამაზ ჭედია). 21 წლის სპორტსმენმა 7 კგ. და 260-გრამიანი ბირთვი 20,11 მეტრზე ჰკრა და 29 სანტიმეტრით გააუმჯობესა თავისივე მიღწევა. ეს შედეგი შეჯიბრებაზე საუკეთესო აღმოჩნდა და ქართველ მძლეოსანს ოქროს მედალი გადაეცა.

შუბის ტყორცნაში მეორე ადგილი დაიკავა თბილისელმა გენადი არჯევანიძემ—72,47 მ. მე-5 ადგილებზე გავიდნენ თბილისელი ანდრეი კურდინოვსკი სამხტომში (16,05 მ) და რუსთაველი დიმიტრი კალაძე 110 მეტრზე თარჯრბენში (13,6).

არმიელთა ჩემპიონატში იგივე შედეგი აჩვენა კალაძის „კოლეგამ" გელა ვეშაპიძემ (თბილისი) და მეორე ადგილი დაიკავა. აღსანიშნავია, რომ ორივე სპორტსმენს სულ 0,1 წამი დააკლდა საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატის ნორმატივის შესრულებამდე. თბილისელი არმიელი ვასილ პოტაპენკო მესამე იყო ათჭიდში — 7750 ქულა.

# დაბრუნდაშვილი, ხახალეიშვილი და სხვები

**სოციალისტური** ქვეყნების ჭაბუკ ძიუდოისტთა ტურნირი — „დრუჟბა“ ყოველ წელს ტრადიციულად ტარდება და სპორტის ამ სახეობის მოყვარულთა დიდ ინტერესსაც იწვევს. წლევანდელ ასპარეზობას, რომლის მთავარი ფავორიტები საბჭოთა მოჭიდავეები იყვნენ, ბულგარეთის ქალაქი პლოვდივი მასპინძლობდა.

საბჭოთა კავშირის გუნდმა ამჯერადაც პირველი ადგილი დაიკავა. იგი თავის მეტოქეებზე აშკარად ძლიერი იყო. ჩვენი ნაკრების ეს წარმატება პირად ჩათვლაში მოპოვებულმა ოთხმა ოქროს, ორმა ვერცხლისა და ამდენივე ბრინჯაოს მედალმა შეადგინა.



გამარჯვებულთა შორის ორი საქართველოს წარმომადგენელია — თბილისელი ზაზა დაბრუნდაშვილი და ქუთაისელი დავით ხახალეიშვილი. ორი სხვა უმაღლესი ჯილდო გროზნოელმა შ. ვარაევმა და კრასნოიარსკელმა ვ. ჩეპჩენკომ დაისაკუთრეს.

რამდენიმე სიტყვა ჩვენს მოჭიდავეებზე. ზაზა დაბრუნდაშვილი 1970 წელსაა დაბადებული. სპორტში მეცადინეობა 1982 წლიდან დაიწყო. იყო ჭაბუკთა საკავშირო შეჯიბრების პრიზიორი, რესპუბლიკის ჭაბუკთა თამაშების ჩემპიონი, მოსკოვში საერთაშორისო ტურნირი მოიგო, 1985 წლიდან სსრ კავშირის ჭაბუკთა ნაკრების წევრად ითვლება.



დავით ხახალეიშვილი (დაიბადა 1971 წელს) X კლასის მოსწავლეა, ძიუდოში 1979 წლიდან მეცადინეობს. პირველ წარმატებას 1985 წელს მიაღწია — რესპუბლიკის ჩემპიონი გახდა ჭაბუკთა შორის. მოგებული აქვს მოსწავლეთა რამდენიმე საკავშირო ტურნირი. წლეულს ბრწყინვალედ გაიმარჯვა ჭაბუკ ძიუდოისტთა თბილისის საერთაშორისო შეჯიბრებაში. დავით ხახალეიშვილი პერსპექტიულ ათლეტად ითვლება, რაც სხვათა შორის, პლოვდივის ტურნირმაც ცხადყო.

**სურათებზე: ზაზა დაბრუნდაშვილი (მარცხნივ) და დავით ხახალეიშვილი.**

## სსრ კავშირის თასი

**4 აგვისტოს გაიმართა სსრ კავშირის საფეხბურთო თასის პირველი მერვედფინალური მატჩები.**

თბილისის დინამოელები ლენინგრადში შეხვდნენ ადგილობრივ „ზენიტს“. ლენინგრადში 4 აგვისტოს მთელი დღე წვიმდა, საკმარისადაც გრილოდა (ტემპერატურა მხოლოდ პლუს 14 გრადუსი) და სველ მინდორზე თამაში საგრძნობლად ჭირდა.

პირველი ტაიმი საკმაოდ ნელ ტემპში მიმდინარეობდა, სახიფათო მომენტებიც, როგორც სტუმართა, ისე მასპინძელთა კართან, ნაკლებად იქმნებოდა. 45 წუთის განმავლობაში ვერც ერთმა მხარემ თავი ვერაფრით გამოიჩინა, თუმცა, შესვენების შემდეგ თამაში შედარებით გამოცოცხლდა, რამდენიმე ხელსაყრელი მომენტი შეექმნათ ლენინგრადელებს ჩუხლოვს, დოლგოპოლოვს, კლემენტიევს, მაგრამ შესანიშნავად ითამაშა „დინამოს“ მეკარემ გაბელიამ, რომელმაც რამდენიმე უძნელესი ბურთი მოიგერია.

საპასუხო კონტრშეტევები თბილისელებმაც განავითარეს, კერძოდ, სახიფათოდ უტევდნენ შენგელია, გურული, კორღალიძე, მაგრამ არც ამას გამოუღია შედეგი. მინსკელი არბიტრის ვ. ქუკის სასტვენმა საბოლოოდ ფრე აღნიშნა — 0:0.

თბილისის „დინამომ“ ლენინგრადში ასეთი შემადგენლობით ითამაშა: გაბელია, ფირცხალავა, ჩივაძე, ჭედია, ცვეიბა, კორღალიძე (ქეცბაია), სვანაძე, სულაქველიძე, რევიშვილი (ქვანია), გურული, შენგელია (ცაკილაშვილი).

დიდი ინტერესით მოველოდით სოხუმის დინამოელთა გამოსვლას ხარკოვში, სადაც მათ მერვედფინალის პირველი მატჩი ჰქონდათ „მეტალისტთან“. სოხუმელმა ფეხბურთელებმა სულ ახლახან შესანიშნავად ითამაშეს მინსკის თანაკლუბელებთან და ორი მატჩის ჯამში გამარჯვებაც მოიპოვეს, მაგრამ მეორე და უმაღლესი ლიგების გუნდების შეხვედრა ამჯერად ამ უკანასკნელის გამარჯვებით დამთავრდა, შესაძლოა, ამაში მნიშვნელოვანი როლი ითამაშა მატჩის პირველმა წუთმა. სოხუმელთა კარში დაახლოებით 19-20 მეტრის მანძილიდან საჯარიმო დაინიშნა, ბურიაკმა ზუსტად დაარტყა და დააწინაურა თავისი გუნდი. შემდგომში დინამოელები ბევრს ეცადნენ, ანგარიშის გათანაბრების შესაძლებლობა მიეცათ ჩალიგავას, ხაგბას, მაგრამ უშეცდომოდ მოქმედებდა „მეტალისტის“ მეკარე სივუხა.

მიმდინარეობდა 38-ე წუთი, როცა სტუმართა კართან შექმნილ არეულობაში კარგად ითამაშა მალიშენკომ და მეორედ აიღო მეტოქის კარი, შესვენების შემდეგ კი ხარკოველებმა კიდევ ერთი ბურთი გაიტანეს და გაიმარჯვეს ანგარიშით 3:0.

სოხუმის „დინამოს“ შემადგენლობა: ბენიძე, გოგოხია, ჩიხრაძე, ხურცილავა (ქანთარია), თარბა, ინალიშვილი, გუბაზი, ახვლედიანი, კვარაცხელია, ჩალიგავა, ხაგბა.

მეტად საინტერესო გამოდგა მატჩი ერევანში, სადაც ადგილობრივი „არარატი“ დნეპროპეტროვსკის „დნეპრს“ შეხვდა. დნეპროპეტროვსკელ ფეხბურთელებს ბოლო ორი თვეა მარცხი არ განუცდიათ, რის წყალობითაც ისინი საკავშირო ჩემპიონატის ცხრილში მეორე ადგილზე იმყოფებიან, მაგრამ „არარატმა“ ამჯერად მეტოქეზე ძლიერად ითამაშა და გაიმარჯვა ანგარიშით 3:1.

მოსკოვში ერთმანეთს შეხვდნენ ადგილობრივი „ტორპედო“ და ცსკა. დაძაბული ბრძოლის ბედი გადაწყვიტა ტორპედოელთა კარში გატანილმა ერთადერთმა ბურთმა, ანგარიშით 1:0 გაიმარჯვა ცსკა-მ.

ბაქოს „ნეფთჩიმ“ თავის მინდორზე იოლად სძლია I ლიგის გუნდს კემეროვოს „კუზბასს“ — 5:1.

1987-88 წლების საკავშირო თასის გათამაშება ერთობ არიტმული კალენდრით მიმდინარეობს. დღეს მეთექვსმეტედფინალის საპასუხო მატჩში ერთმანეთს უნდა შეხვდნენ ფერგანის „ნეფტიანიკი“ და ვილნიუსის „ჟალგირისი“, ამ წყვილში გამარჯვებული კი მერვედფინალში ჩაებმება მხოლოდ 29 სექტემბერს და შემდეგ — 20 ოქტომბერს (ტაშკენტის „ფახთაქორთან“). ჯერ კიდევ გაურკვეველია თუ როდის შედგება მერვედფინალური მატჩები კიევის „დინამოსა“ და ვოლგოგრადის „როტორს“ შორის.

**მერვედფინალის სხვა საპასუხო მატჩები 15 აგვისტოს გაიმართება. თბილისის „დინამო“ შინ მიიღებს ლენინგრადის „ზენიტს“ (მსაჯი ვ. აზგოლცი, ალმა-ათა), ხოლო სოხუმის „დინამო“ — ხარკოვის „მეტალისტს“ (მსაჯი გ. გალიკოვი, ლენინგრადი).**

## საქართველოს პირველობა

**განვლილ შაბათ-კვირას გაიმართა რესპუბლიკის საფეხბურთო ჩემპიონატის მორიგი ტურის შეხვედრები.**

### I ჯგუფი

**„მეტალურგი“ (ზესტაფონი) — „იმედი“-„დინამო“-2 (თბილისი) 2:0. მსაჯი მ. ჭელიძე (თბილისი).** გოლები: ხუჯაძე, ლაბაძე („მეტალურგი“).

**„კახეთი“ (თელავი) — „მერცხალი“ (მახარაძე) 2:2. მსაჯი მ. კობიაშვილი (თბილისი).** გოლები: ბალათრიშვილი, აბდულაევი („კახეთი“), ჩიგოგიძე, ჩხაიძე („მერცხალი“).

**„დინამო“ (გაგრა) — „სამეგრელო“ (ჩხოროწყუ) 2:1. მსაჯი ი. კანდელაკი (თბილისი).** გოლები: კვარაცხელია, რაგანიანი („დინამო“), სიჭინავა („სამეგრელო“).

უხეში თამაშისთვის გააფრთხილეს გაგრელი გ. შონია.

**„დინამო“ (ზუგდიდი) — „შადრევანი“ (წყალტუბო) 2:3. მსაჯი რ. ვერულაშვილი (თბილისი).** გოლები: თუთბერიძე, ტიბუა („დინამო“), კუხიანიძე, ონიანი, ჰ. იობიძე („შადრევანი“).

**„სულორი“ (ვანი) — „მადნეული“ (ბოლნისი) 2:1. მსაჯი დ. მენთეშაშვილი (თბილისი).** გოლები: კიკალეიშვილი, თევზაძე („სულორი“), ჯაგოვი („მადნეული“).

ბურთის განზრახ ხელით დაჭერისთვის გააფრთხილეს ბოლნისელი ფეხბურთელი კ. გაბიძაშვილი.

**„ივერია“ (ხაშური) — „კოლხეთი“ (ხობი) 1:1. მსაჯი მ. კობიაშვილი (თბილისი).** გოლები: ხარაზიშვილი („ივერია“), ლატარია („კოლხეთი“).

ერთმანეთთან უხეშობისთვის გააფრთხილეს ხაშურელი ო. მაღრაძე და ხობელი თ. ბოლაშვილი.

**„ამირანი“ (ოჩამჩირე) — ახალგაზრდული საფეხბურთო სკოლა (თბილისი) 3:0. მსაჯი უ. ფურცელაძე (თბილისი).** გოლები: გუჩუა, ქობალია-2 („ამირანი“).

**„ეგრისი“ (ცხაკაია) — „იმერეთი“ (ქუთაისი) 6:3. მსაჯი თ. სოფრომაძე (თბილისი).** გოლები: ალანია, შონია, სანაია, გაბისკირია, ჩიქობავა, წულაია („ეგრისი“), მამალაძე, ტროიანი-2 („იმერეთი“).

**„დურუჯი“ (ყვარელი) — „სალხინო“ (გეგეჭკორი) 5:1. მსაჯი დ. გაგნიძე (თბილისი).** გოლები: მინდიაშვილი, ქოქიაშვილი-4 („დურუჯი“), ლაგვილავა („სალხინო“).

**„საპოვნელა“ (თერჯოლა) — „სქური“ (წალენჯიხა) 1:3. მსაჯი რ. ტალიაშვილი (თბილისი).** გოლები: ფანჩულიძე („საპოვნელა“), მატუა, ზარქუა, ანთიძე („სქური“).

უხეში თამაშისთვის გააფრთხილეს თერჯოლელი შ. ბრეგაძე.

**ახალგაზრდული საფეხბურთო სკოლა (თბილისი) — „კოლხეთი“ (ხობი) 1:2. მსაჯი თ. ლორთქიფანიძე (თბილისი).** გოლები: ლატარია, ბაკურაძე („კოლხეთი“), გეგეშიძე (ახ. საფეხ. სკოლა).

**„საპოვნელა“ (თერჯოლა) — „იმედი“-„დინამო“-2 (თბილისი) 0:2. მსაჯი ნ. კილაძე (თბილისი).** გოლები: მ. ჯაში-2 („იმედი“-„დინამო“-2).

უხეში თამაშისთვის გააფრთხილეს თერჯოლელი ფეხბურთელები გ. ლომიძე და მ. ქურცაძე.

**„სპარტაკი“ (ცხინვალი) — ფიზკულტურის ინსტიტუტი (თბილისი) 1:0. მსაჯი გ. ხეჩუაშვილი (თბილისი).** გოლი: კ. ჯიოევი („სპარტაკი“).

ერთმანეთთან უხეში თამაშისთვის გააფრთხილეს თბილისელი ზ. ანიაშვილი და ცხინვალელი ვ. მარგიევი.

**საქართველოს** ფიზკულტურის ინსტიტუტის ხელმძღვანელობამ თხოვნით მიმართა რესპუბლიკის სპორტსახკომს, რომ, ვინაიდან ინსტიტუტის რამდენიმე ფეხბურთელმა დაამთავრა სწავლის კურსი, ზოგიერთები საბჭოთა არმიაში გაიწვიეს, ნაწილი გადაიყვანეს ოსტატთა გუნდებში და, გარდა ამისა, ინსტიტუტში მისაღები გამოცდები დაიწყო, შემდგომი დროისთვის გადაიდოს ფიზკულტურის ინსტიტუტის გუნდის რამდენიმე შეხვედრა. ამასთან დაკავშირებით, 8 აგვისტოს მატჩი გორის რაიონის „ქართლთან“, 15 აგვისტოს მატჩი წალენჯიხის „სქურთან“ და 22 აგვისტოს მატჩი ბოლნისის „მადნეულთან“ გადატანილია შემდგომი დროისთვის.

### გათამაშების ცხრილი

**მდგომარეობა 6 აგვისტოსთვის**

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| „კოლხეთი“ | 24 | 16 | 4 | 4 | 44-19 | 36 |
| „შადრევანი“ | 25 | 15 | 6 | 4 | 41-23 | 36 |
| „სამეგრელო“ | 25 | 14 | 8 | 3 | 46-18 | 36 |
| „მერცხალი“ | 25 | 13 | 10 | 2 | 35-18 | 36 |
| „სქური“ | 25 | 14 | 6 | 5 | 48-27 | 34 |
| „სულორი“ | 25 | 12 | 8 | 5 | 27-22 | 32 |
| ფიზ. ინსტ. | 25 | 11 | 7 | 7 | 42-30 | 29 |
| „ამირანი“ | 25 | 12 | 4 | 9 | 34-31 | 28 |
| „ეგრისი“ | 24 | 9 | 7 | 8 | 38-35 | 25 |
| „სპარტაკი“ | 25 | 9 | 7 | 9 | 41-41 | 25 |
| „მეტალურგი“ | 25 | 10 | 3 | 12 | 32-34 | 23 |
| „იმ.-დინ.“-2 | 20 | 8 | 7 | 5 | 34-26 | 23 |
| „დინამო“ ზ. | 24 | 8 | 7 | 9 | 32-24 | 23 |
| „მადნეული“ | 24 | 7 | 9 | 8 | 35-26 | 23 |
| „დინამო“ გ. | 23 | 7 | 9 | 7 | 25-30 | 23 |
| „სალხინო“ | 25 | 7 | 9 | 9 | 30-42 | 23 |
| „ქართლი“ | 24 | 9 | 4 | 11 | 31-32 | 22 |
| „საპოვნელა“ | 25 | 8 | 6 | 11 | 31-42 | 22 |
| „იმერეთი“ | 25 | 6 | 6 | 13 | 35-59 | 18 |
| „კახეთი“ | 24 | 6 | 5 | 13 | 41-52 | 17 |
| „არმაზი“ | 24 | 5 | 6 | 13 | 24-40 | 16 |
| „დურუჯი“ | 25 | 4 | 7 | 14 | 21-35 | 15 |
| „ივერია“ | 25 | 4 | 7 | 14 | 19-35 | 15 |
| ახ. საფ. სკ. | 24 | 3 | 0 | 21 | 16-60 | 6 |

## სანქციები მსაჯთა მიმართ

საქართველოს სსრ ფეხბურთის ფედერაციის მსაჯთა კოლეგიის პრეზიდიუმმა განიხილა რესპუბლიკური პირველობის მომსახურე მსაჯების საკითხი. ჯერ კიდევ არის შემთხვევები, როცა ჩვენი მსაჯები არაკვალიფიციურად ატარებენ მატჩებს, არ ცხადდებიან თამაშებზე და ა. შ. ამასთან დაკავშირებით ზოგიერთი მათგანის მიმართ გამოტანილი იქნა მკაცრი სანქციები.

გორის „დილისა“ და ფოთის „კოლხეთის“ მატჩში (II ლიგა) გვერდითმა მსაჯმა კ. ტონოკანიანმა (ახალქალაქი) შეცდომები დაუშვა, რისთვისაც მას პირობითი დისკვალიფიკაცია მიეცა ერთი წლით.

კალენდარულ მატჩებზე სისტემატური დაგვიანებისთვის რესპუბლიკური კატეგორიის მსაჯი ვ. ალიევი (თბილისი) დისკვალიფიცირებულია ერთი წლით.

ჩხოროწყუს „სამეგრელოს“ და გეგეჭკორის „სალხინოს“ მატჩში ერთ-ერთმა ჩხოროწყუელმა ფეხბურთელმა სიტყვიერი შეურაცხყოფა მიაყენა რესპუბლიკური კატეგორიის მსაჯს ლ. ჩიტაიას, მან კი დამალა ფეხბურთელის ეს უდიერი საქციელი. ამის გამო ლ. ჩიტაია დისკვალიფიცირებულია 1987 წლის ბოლომდე.

ხობის „კოლხეთისა“ და მახარაძის „მერცხალის“ შეხვედრაში დაშვებული შეცდომებისთვის საყვედური გამოეცხადათ ტყიბულელ მსაჯს ი. ლორთქიფანიძეს და ქუთაისელ გ. დოგრაშვილს.

რესპუბლიკის საფეხბურთო ჩემპიონატის I ჯგუფის მატჩების მსაჯობიდან გადააყენეს თბილისელი გ. ნამგალაძე, რომელმაც უხეში შეცდომები დაუშვა ხაშურის „ივერიისა“ და გეგეჭკორის „სალხინოს“ მატჩში.

1987 წლის ბოლომდე დისკვალიფიცირებული არიან ვ. მუხაშავრია (ბათუმი), მ. ნაზარაშვილი (ბათუმი) და გ. გოგოლაძე (ხაშური), რომლებიც არ გამოცხადდნენ კალენდარული მატჩის სამსაჯოდ.



## II ლიგა

### გათამაშების კალენდარი

### მეორე წრე. IX ზონა

**XVI ტური, 8 აგვისტო**

„ქიაფაზი“ (კიროვაბადი) — „ყარაბახი“ (სტეფანაკერტი), „კოლხოზჩი“ (აშხაბადი) — „ვოსხოდი“ (სუმგაითი), „შევარდენი“-სპი (თბილისი) — „დილა“ (გორი), „ლორი“ (კიროვაკანი) — „მეტალურგი“ (რუსთავი), „მეშახტე“ (ტყიბული) — „ლოკომოტივი“ (სამტრედია), „დინამო“ (სოხუმი) — „კოლხეთი“ (ფოთი), „ავტომობილისტი“ (მინგეჩაური) — „გოიაზანი“ (ყაზახი), „სპარტაკი“ (ოქტემბერიანი) — „ოლიმპია“ (ლენინაკანი).

**XVII ტური, 12 აგვისტო**

„ქიაფაზი“ — „მეტალურგი“, „ყარაბახი“ — „ლორი“, „კოლხოზჩი“ — „დილა“, „ვოსხოდი“ — „შევარდენი“-სპი, ავტომობილისტი“ — „ლოკომოტივი“, „გოიაზანი“ — „მეშახტე“, „სპარტაკი“ — „კოლხეთი“, „ოლიმპია“ — „დინამო“.

**XVIII ტური, 15 აგვისტო**

„ქიაფაზი“ — „ლორი“, „ყარაბახი“ — „მეტალურგი“, „კოლხოზჩი“ — „შევარდენი“-სპი, „ვოსხოდი“ — „დილა“, „ავტომობილისტი“ — „მეშახტე“, „გოიაზანი“ „ლოკომოტივი“, „სპარტაკი“ — „დინამო“, „ოლიმპია“ — „კოლხეთი“.

**XIX ტური, 22 აგვისტო**

„შევარდენი“-სპი — „ყარაბახი“, „დილა“ — „ქიაფაზი“, „ლორი“ — „ვოსხოდი“, „მეტალურგი“ — „კოლხოზჩი“ „მეშახტე“ — „ოლიმპია“, „ლოკომოტივი“ — „სპარტაკი“, „დინამო“ — „გოიაზანი“, „კოლხეთი“ — „ავტომობილისტი“.

**XX ტური, 25 აგვისტო**

„შევარდენი“-სპი — „ქიაფაზი“, „დილა“ — „ყარაბახი“, „ლორი“ — „კოლხოზჩი“, „მეტალურგი“—„ვოსხოდი“, „მეშახტე“ — „სპარტაკი“, „ლოკომოტივი“ — „ოლიმპია“, „დინამო“ — „ავტომობილისტი“, „კოლხეთი“ — „გოიაზანი“.

**XXI ტური, 31 აგვისტო**

„კოლხოზჩი“ — „ყარაბახი“, „ვოსხოდი“ — „ქიაფაზი“, „ლორი“ — „დილა“, „მეტალურგი“ — „შევარდენი“-სპი, „დინამო“ — „ლოკომოტივი“, „კოლხეთი“ — „მეშახტე“, „სპარტაკი“ — „გოიაზანი“, „ოლიმპია“ — „ავტომობილისტი“,

**XXII ტური, 6 სექტემბერი**

„ქიაფაზი“ — „კოლხოზჩი“, „ყარაბახი“ — „ვოსხოდი“, „შევარდენი“-სპი — „ლორი“, „დილა“ — „მეტალურგი“, „მეშახტე“ — „დინამო“, „ლოკომოტივი“ — „კოლხეთი“, „ავტომობილისტი“ — „სპარტაკი“, „გოიაზანი“ — „ოლიმპია“.

**XXIII ტური, 11 სექტემბერი**

„ქიაფაზი“ — „გოიაზანი“, „ყარაბახი“ — „ავტომობილისტი“, „კოლხოზჩი“ — „ოლიმპია“, „ვოსხოდი“ — „სპარტაკი“, „შევარდენი“-სპი — „ლოკომოტივი“, „დილა“ — „მეშახტე“, „ლორი“ — „კოლხეთი“, „მეტალურგი“ — „დინამო“.

იხ. მე-4 გვ.

# დაბრკოლებები ტურისტულ ბილიკებზე

(დასასრული)

და მაინც, ჩემი აზრით, ყველაზე მნიშვნელოვანი პრობლემაა ტურიზმის რეკლამა.

ერთადერთი, რაც ამ სფეროში გვაქვს, არის ყოველთვიური ჟურნალი „ტურისტი“, რომლის ტირაჟი მხოლოდ 80 ათასია. ეს ხომ წვეთია ზღვაში. იმ ქვეყნების გამოცდილებამ, სადაც ტურიზმი კარგადაა განვითარებული, დაგვანახვა, რომ რაც უფრო მეტ ყურადღებას მივაქცევთ რეკლამას, მით უფრო მაღალი იქნება ტურიზმის დონე და შემოსავალი.

**● სამეურნეო ანგარიშზე გადასვლით რა შეიცვლება?**

— პირველ ყოვლისა, დაინერგება მართვის ახალი, ეკონომიკური მეთოდები. კოლექტივებს, რომლებიც წარმატებით იმუშავებენ, საშუალება მიეცემათ თავიანთი დაწესებულებები ხელახლა აღჭურვონ და რეკონსტრუქციაც ჩაუტარონ. თანამშრომლები მატერიალურად წაახალისონ. მოგვარდება სოციალური საკითხებიც, სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, მართვის ეს ახალი მეთოდები შექმნიან ტურისტული ინდუსტრიის თანამშრომლობის ახალ ტიპს — აქტიურს, დაინტერესებულს, და, რაც მთავარია, აამაღლებს პასუხისმგებლობას მაღალხარისხოვანი მუშაობისათვის.

**● გაქვთ თუ არა აქ გადაუჭრელი პრობლემები?**

— ეს პრობლემები ძირითადად საქართველოს გეოგრაფიულ პირობებთანაა დაკავშირებული. შავიზღვისპირეთის მსხვილ ქალაქებში ტურისტული მეურნეობების სამეურნეო ანგარიშზე გადასვლა არავითარ პრობლემას არ ქმნის, რაც შეეხება მაღალმთიან რაიონებს, როგორიცაა ლენტეხი, მესტია, ყაზბეგი, შოვი, ჯავა, აქ საქმე უფრო რთულადაა. ამ ადგილებში ხომ სეზონი მხოლოდ სამი-ოთხი თვე გრძელდება. არც ტურისტების ნაკადია დიდი. სიშორის, გეოგრაფიული და კლიმატური პირობების გამო, ხარჯი ხშირად შემოსავალს აღემატება. მეორე მხრივ ეს მარშრუტები ძალიან საინტერესო და პოპულარულია.

**● არარენტაბელურ მეურნეობებს რას უპირებთ? უცხოელების გამოცდილებას თუ დაუჭერებთ, ასეთი მეურნეობების შექმნა საჭირო არ არის.**

— გამოსავალი თითქოს არის — გამსხვილებული გაერთიანებების შექმნა. მაგრამ როგორ უნდა გაერთიანდნენ მეურნეობები, რომლებიც 100-200 კილომეტრით არიან ერთმანეთისაგან დაშორებული? ალბათ საჭირო გახდება ტურიზმისა და ექსკურსიების რესპუბლიკური ბიუროს ჩარჩოებში დავნერგოთ მთლიანი სამეურნეო ანგარიში და თვითდაფინანსება, გადავცეთ მათ დამგეგმავის ყველა ფუნქცია.

**● რა შეიძლება ითქვას ტურიზმის სფეროში ინდივიდუალური შრომითი საქმიანობის გამოყენების თაობაზე?**

— ჩემის აზრით, ეს ძალზე პერსპექტიული საქმეა. ჩვენთან, მაგალითად, თბილისის, ქუთაისისა და სოხუმის ბევრ მეურნეობაში უკვე მოქმედებენ ბრიგადული იჯარები, აქ 17 ადამიანის ნაცვლად, რომლებიც საზოგადოებრივი კვების საქმეს ემსახურებოდნენ, ახლა ცხრა თანამშრომელია. შტატების შემცირების შემდეგ მკვეთრად ამაღლდა საკვების ხარისხი, გაიზარდა ხელფასიც, არის იდეა — მთიანი რაიონების ტურისტულ კემპინგებსა და თავშესაფრების მომსახურეებად და ექსკურსიამძღოლებად მთელი ოჯახები მოვიზიდოთ. დარწმუნებული ვარ, ინდივიდუალური საქმიანობის ასეთი ფორმა გაამართლებს.

**● მაგრამ რა ვუყოთ უშემოსავლო მეურნეობებს?**

— ნუ ჩავთვლით ჩვენს გარდაქმნას, ახალ სამეურნეო მეთოდებზე გადასვლას, გაზრდილი შემოსავლისადმი ლტოლვად. რა თქმა უნდა, ეკონომიკური და ორგანიზებული კომერციული წარმოება მაქსიმალური მოგების მიღებას ითვალისწინებს, მაგრამ ჩვენ ამას არასდროს გავიხდით თვითმიზნად. მაგალითად, ყოველმხრივ ხელს შევუწყობთ ოჯახური დასვენების მსურველთ, წელს ვეცადეთ გაგვეუმჯობესებინა ტურისტი ოჯახების დასვენების პირობები. სასტუმროები, კემპინგები, თავშესაფრები 120 ათას ბავშვიან დამსვენებელს მიიღებენ. ეს წინ გადადგმული ნაბიჯია: შარშან ჩვენ მხოლოდ 80 ათას ასეთ ტურისტს მოვემსახურეთ.

რა დასამალია, და საოჯახო დასვენება ზოგჯერ ნაკლებად შემოსავლიანია, მაგრამ ჩვენ შევეცდებით არ დავუშვათ მისი ჩამორჩენა წარმოების ეფექტური ორგანიზაციის ხარჯზე.

**● კიდევ რა პრობლემები დგას საქართველოს ტურისტული მეურნეობების წინაშე?**

— ზამთრის დასვენებისათვის არსებული კარგი პირობების მიუხედავად, ჩვენ მხოლოდ ერთი სამთოსათხილამურო ტურისტული ბაზა გვაქვს ბაკურიანში, ისეთი უნიკალური რაიონები კი, როგორიცაა შოვი, მესტია, ბახმარო, ჯავა, აფხაზეთის მთიანი რაიონები, დღემდე აუთვისებელია. ამას წინათ მივიღეთ გადაწყვეტილება, უახლოეს დროში დაიწყოს ახალი ტურბაზების მშენებლობა და ადრე აგებულის რეკონსტრუქცია. ავირჩიეთ პირველი ობიექტიც — სოფელ ბახმაროს ტურბაზა. მაგრამ რამდენი დრო დაიკარგა! რამდენი ტურისტი ვერ მივიღეთ!

**● რა სიახლეებს სთავაზობთ მოგზაურებს წლევანდელ სეზონში?**

—ბათუმის ტურისტულ სასტუმროს და ვანის ტურბაზას, რომლებმაც პირველი დამსვენებლები შარშან მიიღეს, მიემატა 120-ადგილიანი სასტუმრო ლანჩხუთში. კაპიტალური რემონტის შემდეგ მუშაობას შეუდგება თელავის ტურბაზა, რომელიც ერთ-ერთი უძველესია რესპუბლიკაში. მათ, ვისაც ოდესმე დაუსვენია აქ, შეიძლება ვერც კი იცნონ იგი. რეკონსტრუირებულია საცხოვრებელი ოთახები, სასადილო, კლუბი.

შეიქმნა მოგზაურობათა და ექსკურსიების ახალი ბიუროები ზესტაფონში, სამტრედიაში, ლანჩხუთში, კასპში. ახალი ტურისტული კლუბები ჩამოყალიბდა ვანში, ჭიათურაში, თელავში. სათაფლიისა და ნავენახევის ცნობილი გამოქვაბულების ჩვენს გამგებლობაში გადმოცემასთან დაკავშირებით, რესპუბლიკური საბჭო სულ მალე ქვეყანაში პირველი საკავშირო სპელეომარშრუტის „მფლობელი“ გახდება.

მუშაობას დაიწყებს ადგილობრივი საწყლოსნო ტურისტული მარშრუტი „ძველი არგონავტების კვალდაკვალ“ მდინარე რიონზე, სოფელი ჭყვიშიდან (ქუთაისისა და ვანის მახლობლად) ფოთამდე. სტიქიური უბედურებით მიყენებული ჭრილობების მოშუშების შემდეგ რესპუბლიკა კვლავ დიდი სიხარულით მიიღებს ჩვენი ქვეყნის ყველა კუთხიდან ჩამოსულ სტუმრებს.

**ა. ალექსანდროვი.**

„„იზვესტია“, 4 აგვისტო, 1987.

## ანონსი

„ლელოს“ შემდეგ ნომერში

**● ენთუზიასტებს მხარდაჭერა სჭირდებათ, „მაგრამ...“ ხონელმა დიმიტრი შიშმანიძემ ბევრი სასარგებლო საქმე გააკეთა, თუმცა მისი გარჯა სპორტულ მუშაკებს შეუმჩნეველი დარჩათ.**

**● „ზღვაზე სრული შტილია“ ამ სათაურით 4 აგვისტოს გაზეთმა „სოვეტსკი სპორტმა“ გამოაქვეყნა კრიტიკული წერილი, რომელსაც „ლელოს“ ფურცლებზეც გადმოვბეჭდავთ.**

**● მოგითხრობთ იმის შესახებ თუ როგორ მიმდინარეობს ფიზკულტურულ-გამაჯანსაღებელი და სპორტული მუშაობა პიონერულ ბანაკებში.**

## ვუბრუნდებით დაბეჭდილს

### „გაბნეული... შეკრება“

**ამ სათაურით „ლელომ“ 14 ივლისს გამოაქვეყნა კრიტიკული წერილი, რომელშიც ლაპარაკი იყო ფარიკაობაში საქართველოს ნაკრები გუნდისათვის ბორჯომში ჩატარებული სასწავლო-საწვრთნო შეკრებისას გამოვლენილი ნაკლოვანებების შესახებ. საქართველოს სპორტსახკომის პასუხი ამ საკითხთან დაკავშირებით 18 ივლისს გამოქვეყნდა. და აი, პასუხი მივიღეთ უმაღლესი სპორტული დაოსტატების რესპუბლიკური სკოლიდანაც, რომელსაც შეკრებაზე პასუხისმგებლობა ეკისრებოდა.**

**სპორტული სკოლის დირექტორის ბრძანებით მწვრთნელებს თ. ესართიას, გ. გაბუნიას, გ. გაგნიშვილს და ნ. დიდიას გამოეცხადათ საყვედური. სკოლის მეთოდისტის ნ. ბლიაძის საკითხი, ვინაიდან იგი ადგილკომის თავმჯდომარეა, დაისვა გაერთიანებული პროფკომიტეტის წინაშე.**

## II ლიგა

დასასრული

**XXIV ტური, 15 სექტემბერი**
„ქიაფაზი“ — „ავტომობილისტი“, „ყარაბახი“ — „გოიაზანი“, „კოლხოზჩი“ — „სპარტაკი“, „ვოსხოდი“ — „ოლიმპია“, „შევარდენი“-სპი — „მეშახტე“, „დილა“ — „ლოკომოტივი“, „ლორი“ — „დინამო“, „მეტალურგი“ — „კოლხეთი“.

**XXV ტური, 22 სექტემბერი**
„მეშახტე“ — „მეტალურგი“, „ლოკომოტივი“ — „ლორი“, „დინამო“ — „დილა“, „კოლხეთი“ — „შევარდენი“-სპი, „ავტომობილისტი“ — „ვოსხოდი“, „გოიაზანი“ — „კოლხოზჩი“, „სპარტაკი“ — „ყარაბახი“, „ოლიმპია“ — „ქიაფაზი“.

**XXVI ტური, 25 სექტემბერი**
„მეშახტე“ — „ლორი“, „ლოკომოტივი“ — „მეტალურგი“, „დინამო“ — „შევარდენი“-სპი, „კოლხეთი“ — „დილა“, „ავტომობილისტი“ — „კოლხოზჩი“, „გოიაზანი“ — „ვოსხოდი“, „სპარტაკი“ — „ქიაფაზი“, „ოლიმპია“—„ყარაბახი“.

**XXVII ტური; 2 ოქტომბერი**
„ქიაფაზი“ — „ლოკომოტივი“, „ყარაბახი“ — „მეშახტე“, „კოლხოზჩი“ — „კოლხეთი“, „ვოსხოდი“ — „დინამო“, „შევარდენი“-სპი — „გოიაზანი“, „დილა“ — „ავტომობილისტი“, „ლორი“ — „სპარტაკი“, „მეტალურგი“ — „ოლიმპია“.

**XXVIII ტური, 5 ოქტომბერი**
„ქიაფაზი“ — „მეშახტე“, „ყარაბახი“ — „ლოკომოტივი“, „კოლხოზჩი“ — „დინამო“, „ვოსხოდი“ — „კოლხეთი“, „შევარდენი“-სპი — „ავტომობილისტი“, „დილა“ — „გოიაზანი“, „ლორი“ — „ოლიმპია“, „მეტალურგი“ — „სპარტაკი“.

**XXIX ტური, 12 ოქტომბერი**
„მეშახტე“ — „ვოსხოდი“, „ლოკომოტივი“ — „კოლხოზჩი“, „დინამო“ — „ყარაბახი“, „კოლხეთი“ — „ქიაფაზი“, „ავტომობილისტი“ — „მეტალურგი“, „გოიაზანი“ — „ლორი“, „სპარტაკი“ — „დილა“, „ოლიმპია“ — „შევარდენი“-სპი.

**XXX ტური, 15 ოქტომბერი**
„მეშახტე“ — „კოლხოზჩი“, „ლოკომოტივი“ — „ვოსხოდი“, „დინამო“ — „ქიაფაზი“, „კოლხეთი“ — „ყარაბახი“, „ავტომობილისტი“ — „ლორი“, „გოიაზანი“ — „მეტალურგი“, „სპარტაკი“ — „შევარდენი“-სპი, „ოლიმპია“ — „დილა“.

მატჩები ჩატარდება კალენდარში პირველად დასახელებული გუნდების მინდვრებზე.

### პროფესიონალთა რინგზე

## მესამე გვირგვინი

ძნელი გადმოსაცემია რა ხდებოდა გასულ შაბათს ლას-ვეგასის (აშშ) „ჰილტონის“ სასტუმროსთან. ათასობით გულშემატკივარს ალყაში მოექცია 7600-ადგილიანი დარბაზი, რომლის ცენტრში აღმართული იყო პროჟექტორებით გაჩირაღდნებული რინგის კვადრატი, მილიონობით გარეთ დარჩენილმა მიაშურა კინოთეატრებს, სადაც დახურული ტელეარხით გადასცემდნენ ორთაბრძოლას. ასეთი აჟიოტაჟი იმან გამოიწვია, რომ ამ დღეს „ჰილტონის“ რინგზე უნდა გამოვლენილიყო მსოფლიოს აბსოლუტური ჩემპიონი მძიმეწონოსან-პროფესიონალ მოკრივეებს შორის ე. ი. სამივე ორგანიზაციის — მსოფლიოს მოკრივეთა ასოციაციის (ვბა), მსოფლიოს მოკრივეთა კავშირისა (ვბს) და მოკრივეთა საერთაშორისო ფედერაციის (იბფ) უძლიერესი მოკრივე. ამ ტიტულისთვის იბრძოდნენ ვბა-სა და ვბს-ის ჩემპიონი, 21 წლის მაიკ ტაისონი და იბფ-ს უძლიერესი მოკრივე, 28 წლის ტონი ტაკერი. მათი 12-რაუნდიანი ბრძოლა პირველის გამარჯვებით დამთავრდა — ტაისონმა მესამე გვირგვინი დაიდგა. მას გაუტოლდება მხოლოდ ლეონ სპინგსი, რომელმაც 9 წლის წინათ 15-რაუნდიან ბრძოლაში თვით ლეგენდარული მოჰამედ ალი დაამარცხა.

### ნაკრების მძიმე სეზონი

**საბჭოთა** კავშირის ჰოკეისტთა ნაკრებს ახალი სპორტული სეზონი ერთობ გადატვირთული ექნება. სხვა ტურნირებზე რომ არაფერი ვთქვათ, ორი მათგანი ჩვენშიც და უცხოეთშიც დიდ ინტერესს იწვევს. ესაა კანადის თასის გათამაშება და ოლიმპიური თამაშები.

ნაკრებმა უკვე დაიწყო სამზადისი, ჩაატარა ორი ამხანაგური შეხვედრა უმაყურებლოდ. „ხიმიკი“ დაამარცხა ანგარიშით 7:6, ცსკასთან კი თავად დამარცხდა — 2:5. ორიოდე დღის შემდეგ უკვე ოფიციალური ამხანაგური მატჩი გაიმართა „კრილია სოვეტოვთან“. ამჯერად გამარჯვება ნაკრებს დარჩა — 6:3.




7 და 9 აგვისტოს საბჭოთა ჰოკეისტები შვეციაში ორ ამხანაგურ შეხვედრას ჩაატარებენ მსოფლიოს ჩემპიონთან, ქვეყნის ეროვნულ გუნდთან. პირველი მატჩი გაიმართება ერებრუში, მეორე — სტოკჰოლმში.

### „სპორტპროგნოზი“
**30-ე ტირაჟის შედეგები**
**(25-27 ივლისი)**

**სპორტული** ლატარიების მთავარმა სამმართველომ შეაჯამა „სპორტპროგნოზის“ 30-ე ტირაჟის შედეგები, რომელიც 1987 წლის 25-27 ივლისს გაიმართა.

ტირაჟში დაშვებული იყო 7.741.500 ვარიანტი. 13 შედეგის გამოცნობისთვის (51) მოგებამ 2.276 მანეთი შეადგინა, 12 შედეგის გამოცნობისთვის (2.007) — 115 მანეთი, 11 შედეგის გამოცნობისთვის (30.724) — 26 მანეთი.

„სპორტპროგნოზის“ 30-ე ტირაჟის მოგებათა განაღდება იწარმოებს 1987 წლის 17 აგვისტოდან 17 სექტემბრამდე.

# ჩოგბურთი უიმბლდონის შემდეგ

**ზაფხული**, ტრადიციულად, საჩოგბურთო ტურნირების პერიოდია. უიმბლდონის წინ ყველა შეჯიბრება ამ მთავარი მიზნისთვის სამზადისის თავისებურ ეტაპს წარმოადგენს. მაგრამ საჩოგბურთო ცხოვრების გააქტიურება უიმბლდონის ტურნირის შემდეგაც შეიმჩნევა, თანაც მსოფლიოს სხვადასხვა კუთხეში, სხვადასხვა კონტინენტზე.

უიმბლდონის ორგზის ჩემპიონი ბორის ბეკერი (გფრ) ვაშინგტონში გარკვეული გეგმებით ჩავიდა, მაგრამ დევისის თასის მატჩის შემდეგ საკმაოდ დაღლილი ჩანდა და ნახევარფინალში მოულოდნელი მარცხი განიცადა 25 წლის ამერიკელ ბრედ ჯილბერტთან შეხვედრაში — 6:3, 3:6, 0:6.

უფრო პრინციპული იყო მეორე ნახევარფინალისტების ივან ლენდლისა და ჯიმი კონორსის ორთაბრძოლა, მაგრამ გამარჯვება მაინც ლენდლს დარჩა — 6:4, 7:6. მერე ფინალური მატჩი გაიმართა, რომელშიც ჩეხოსლოვაკიელმა ჩოგბურთელმა ადვილად დაამარცხა ჯილბერტი — 6:1, 6:0. კომენტატორების აზრით ფინალში ლენდლისა და ბეკერის შეხვედრა უფრო ლოგიკური იქნებოდა და ცხადია, საინტერესოც.

ამასობაში ჰილვერსუმის (ჰოლანდია) ტურნირმა, რომელიც „გრან პრის“ სერიათა პროგრამაშია შეტანილი, ფინიშის ხაზი გადაკვეთა. გამარჯვება ჩეხოსლოვაკიელმა მიროსლავ მეჩირმა მოიპოვა. ფინალში მან არგენტინული ჩოგბურთის ახალ ამომავალ ვარსკვლავს, 17 წლის გილერმო პერეს-როლდანას აჯობა — 6:4, 1:6, 6:3, 6:2. არგენტინელმა, რომელიც დღეისათვის მსოფლიოს უძლიერეს ჩოგბურთელთა რანგთა ტაბელში 34-ე ადგილი უკავია, მანამდე თავისი თანამემამულე, არგენტინის ჩემპიონი მარტინ ჰაიტი დაამარცხა — 3:6, 7:5, 7:6. შეგახსენებთ, რომ ამ ტურნირში ანდრეი ჩესნოკოვიც მონაწილეობდა. მას სწორედ ჰაიტმა მოუგო — 6:2, 6:4.

შვეციის ჩოგბურთელები ამ საერთაშორისო ტურნირებს მცირე ხნით ჩამოშორებულნი იყვნენ, ვინაიდან ურთიერთობას თავიანთი ქვეყნის ღია ჩემპიონატში არკვევდნენ. სხვათა შორის, ამ შეჯიბრებაშიც თავისებური სენსაცია დაფიქსირდა. ყოველ შემთხვევაში გამარჯვება მოიპოვა ჩოგბურთელმა, რომლისგანაც ყველაზე ნაკლებად ელოდნენ წარმატებას. შვეციის ჩემპიონი გახდა იოაკიმ ნიუსტრემი, თანაც როგორი ჩემპიონი? წინასწარი შეხვედრების შემდეგ მან ზედიზედ თავისი სამი თანამემამულე დაამარცხა — კენტ კარლსონი, მატს ვილანდერი და ბოლოს ფინალში სტეფან ედბერგი (4:6, 6:0, 6:3). ჩემპიონიც ასეთი უნდა.

რედაქტორი
**თ. გაჩეჩილაძე.**

**ჩვენი მისამართი:**
**წერილებისთვის — 380096 თბილისი, ლენინის ქ. 14.**
**დეპეშებისთვის — თბილისი, „ლელო“.**

**რედაქციის ტელეფონები:**
**სამდივნო — 93-97-52,**
**ინფორმაციის განყოფილება — 93-97-53,**
**წერილების განყოფილება — 93-97-55,**
**„მერანი“ — 93-97-26, „მართვე“ — 93-97-27.**

**ჩვენი ინდექსი 66435**

**საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის შრომის წითელი დროშის ორდენოსანი სტამბა. 380096, თბილისი, ლენინის ქ. 14. იბეჭდება ოფსეტური წესით საგაზეთო კორპუსში: ხოშარაულის, 29.**

1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20 უე 07064